საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030461709475920

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/10071 **01 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

1. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის ბატონ კახაბერ ჩხარტიშვილის 2 აპრილის N04-3496 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საჭიროა საკარანტინო სივრცეების სასტუმრო მომსახურების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 55100000 (სასტუმრო მომსახურება რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 48) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 220 000 (ორას ოცი ათასი) ლარით.

2. ააიპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის დირექტორის 2020 წლის 29 აპრილის N40476 წერილის შესაბამისად, საჭიროა „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19 მართვის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება შესაბამის საკარანტინე/საველე სივრცეში მომსახურების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 85100000 (ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 109) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 116 625 (ას თექვსმეტი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/

დირექტორის მოადგილე | ხელმოწერილია ელექტრონულად | ლევან გოგოძე